ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მაჟორიტარი წევრის

ქეთევან ჯოხაძის

2019 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ:

2017 წლიდან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი (გლდანის რაიონი- მუხიანი), ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე, ასევე განათლებისა და კულტურის და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა ბიუროს 18, ხოლო საკრებულოს 17 სხდომა, მიღებულ იქნა 371 განკარგულება და 112 დადგენილება. საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა დედაქალაქისა და მისი მოსახლეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა:

- ურბანული განვითარება - თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართულებები;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალური ქონება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

2017 წლის ნოემბრიდან გახლავართ ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის წევრები იკრიბებიან მინიმუმ თვეში ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 12 სხდომა, განხილულ იქნა 18 საკითხი. უმრავლესობის ფორმატში ფრაქციასთან „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ერთად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 20 სხდომა, საკითხთა რაოდენობამ შეადგინა 21.

ფრაქციის სხდომაზე განვიხილეთ დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი - მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა დედაქალაქისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, პროექტი აგებულია ოთხ ძირითად პრინციპზე: მწვანე, შეკავშირებული, კომპაქტური და მედეგი ქალაქი. გენგეგმის პროექტში ურბანული განაშენიანებისა და განვითარებისათვის ახლებური მიდგომებია ასახული. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიულ-კულტურული ნაწილის განვითარებას და ლანდშაპტურ მნიშვნელობას. კიდევ ერთი სიახლე რომელიც აღნიშნულ დოკუმენტში აისახა, ეხება სატყეო ზონისა და სამი ტიპის რეკრეაციული ზონის შემოღებას. დაიხვეწა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდა ზონირების საკითხები, დაიხვეწა რუკა, დატანილ იქნა გაცემული სამშენებლო ნებართვები და გრგ-ები, შეიქმნა თემატური რუკები, რომელშიც აისახა შიდა საუბნო გამწვანებები, ხაზობრივი ნაგებობები. დაზუსტდა ქონებრივი საკითების გადაწყვეტის გზები მესაკუთრეთა უფლებების მაქსიმალური გათვალისწინებით. გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულია ოთხი ახალი საქალაქო პარკის პროექტირება-მოწყობა და 11 განაშენიანების ჩარჩო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული ტერიტორიების შემდგომი განაშენიანების პერსპექტივას. დოკუმენტის თანახმად ისტორიულ-კულტურული ლანდშაპტის ზონაში, ახალი მშენებლობების ნებართვები აღარ გაიცემა, თუმცა ყველა ძველი მშენებლობა დასრულდება.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დაგეგვმისა და მათი შესრულების გზების განხილვა- სატრანსპორტო სისტემების მოწესრიგება და არსებული პოლიტიკის გაუმჯობესება, აქტიურად მიმდინარეობს თბილისის ავტოპარკის განახლება: მაისის თვეში დედაქალაქის ტრანსპორტს MAN-ის მარკის 90 ახალი ავტობუსი შეემატა ხოლო, მიმდინარე წლის ბოლომდე თბილისის ავტოპარკს დამატებით 220 ერთეული ISUZU-ს მარკის 8-მეტრიანი ავტობუსი ეტაპობრივად დაემატება. ავტობუსები შშმ პირთათვის ადაპტირებულია. სალონში სპეციალური სივრცეა გამოყოფილი, სადაც ეტლით ავტობუსში ასვლის უზრუნველსაყოფად გადმოსაშლელი პანდუსია მოწყობილი. ტრანსპორტში თბილისის კლიმატურ პირობებზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირების და ვენტილაციის სისტემებია დამონტაჟებული.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პრობლემური მშენებლობები და სამშენებლო რეგულაციები - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნა შეზღუდვის ქმედითი ინსტრუმენტების დანერგვა ქაოსური განაშენიანებისა და გეოლოგიური თვალსაზრისით საფრთხის შემცველი არეალების სამშენებლოდ განვითარებისათვის, ახალი გენგეგმის მიხედვით იკრძალება K2 კოეფიციენტის გადაჭარბების გაზრდა. ახალი რეგულაციები საშუალებას იძლევა ამ მიმართულებით არსებული პრობლემები კომპლექსურად მოგვარდეს და ქალაქში ურბანული საკითხები საბოლოოდ გადაიჭრას.

- შშმ პირებისათვის ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა - მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროექტს ჩაეყარა საფუძველი, ეს გახლავთ აუტიზმის ეროვნული ცენტრი , მშენებლობა აუტიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ფონდის ინიციატივით დაიწყო და რეგიონული მნიშვნელობის მატარებელია, მას ამ ეტაპისთვის არ აქვს ანალოგი. აუტიზმის ეროვნული ცენტრი 16 წელს ზემოთ აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდებს მოემსახურება. კომპლექსის მნიშვნელოვანი კომპონენტი სოციალური წარმოებაა, რომელიც აუტიზმის მქონე მოზარდ და ზრდასრულ ადამიანებს სამუშაო უნარ-ჩვევების შეძენაში და შემდგომ დასაქმებაში დაეხმარება.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების პრინციპის შესახებ.

კომისიური მუშაობა:

განათლებისა და კულტურის კომისია

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 20 ოქტომბრამდე გაიმართა განათლებისა და კულტურის კომისიის 13 სხდომა, რომელზეც დღის წესრიგით გათვალისწინებული 10 საკითხი განვიხილეთ.

კომისიამ წლის დასაწყისში იმსჯელა დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტზე და იმ პრიორიტეტულ საკითხებზე, რომლებიც განათლებისა და კულტურის მიმართულებით იქნა ასახული 2019 წლის ბიუჯეტში:

- 2019 წლის ბიუჯეტში კვლავ პრიორიტეტულ საკითხად განისაზღვრა სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, რადგან აღნიშნული საკითხი ითვალისწინებს: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობასა და არსებული შენობების კაპიტალურ რემონტს.
- საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთათვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია.
- პრიორიტეტების ფარგლებში ხორციელდება ასევე დედაქალაქის გარეუბნების კულტურულ ღონისძიებებში ჩართვა.
- ასევე მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კომპლექსური რეაბილიტაცია.

კომისიამ წლის დასაწყისში იმსჯელა დედაქალაქში კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დადგენილების პროექტის თაობაზე. პროექტი ორიენტირებულია დედაქალაქში კულტურის სფეროში დასაქმებული პირების, ინოვაციური და კრეატიული ინიციატივების მხარდაჭერაზე. დეტალურად იქნა განხილული და მსჯელობის შედეგად ერთხმად დავუჭირეთ მხარი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტია და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ანგარიშსა და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმას გაეცნო. ყურადღება იქნა გამახვილებული ახალი ბაღების მშენებლობასა და ავარიული შენობების გამაგრება-რეაბილიტაციის, ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების, ახალი სერვისების დანერგვისა და პროექტირების მიმართულებით არსებულ საკითხებზე. ასევე აღინიშნა რომ 2019 წელს ახალი ბაღების მშენებლობა კვლავ მასშტაბურად მიმდინარეობს, რაც 12 ახალი ბაღის მშენებლობას გულისხმობს. ყურადღება იქნა გამახვილებული ასევე საპილოტე პროექტებსა და ინკლუზიური განათლების ხელშემწყობ მიმართულებებზე, დადებითად იქნა შეფასებული განხორციელებული სამუშაოები და გამოითქვა რეკომენდაციები სკოლამდელი აღზრდის სისტემის ეფექტიანობისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით. ამავე სხდომაზე გახმოვანდა ინიციატივა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელის რეგისტრაციის წესში ცვლილების შეტანის თაობაზე. ინიციატივის თანახმად, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე შვილებს, სხვა უპირატეს ჯგუფებთან ერთად, რეგისტრაციის საშუალება ეძლევათ.

ასევე აღსანიშნავია რომ უცხოელი კოლეგებისათვის ხაზგასმით წარმატებულ პროექტად სახელდება განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, თბილსიის ბაგა-ბაღებში შექმნილი ფსიქოლოგების, სპეც-პედაგოგებისა და ლოგოპედების მულტიფუნქციური ჯგუფები.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს თბილისის 218-ე საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიცირების საკთხს, რუსტამ ისაევს წლების მანძილზე 218-ე საჯარო სკოლის დირექტორის პოზიცია ეკავა და სასწავლო დაწესებულებისათვის მისი სახელის მინიჭების ინიციატივით თბილისის საკრებულოს კრწანისის რაიონის, სოფელ ფონიჭალის უხუცესთა საბჭოს წევრებმა და 218- საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართეს.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ გაიმართა 14 სხდომა, განხილულ იქნა 14 საკითხი.

კომისიამ წლის დასაწყისში 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელა, განხილულ იქნა ძირითადი მიმართულებები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება. შენარჩუნებულ იქნა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ყველა პრიორიტეტული პროგრამა, ასევე განათლების დაფინანსება.

საანგარიშო პერიოდში სამუშაო შეხვედრა გაიმართა უძრავი ქონების და სასტუმრო ბიზნესის საერთაშორისო ყოველწლიურ ფორუმთან „მდგრადი და მედეგი ქალაქების მშენებლობა“ დაკავშირებით, შეხვედრას ესწრებოდნენ გაერთიანება „property Georgia, FIABCI Georgia“ და ქალაქის მერიის წარმომადგენლები. გაერთიანების მმართველმა პარტნიორმა შეხვედრის მონაწილეებს ფორუმის დანიშნულების, საქმიანობის, პარტნიორებისა და მონაწილეების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

კომისიამ ასევე არაერთხელ იმსჯელა თბილისის ღამის ეკონომიკის ფაგლებში მიმდინარე პროექტების თაობაზე, საანგარიშო პერიოდში შეხვედრა გაიმართა თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების ხელმძღვანელ სერგი გვარჯალაძესთან, რომელმაც კომისიის წევრებს პროექტის მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა, განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა და სამომავლო გეგმები მიმოიხილა. შეხვედრაზე წარმოდგენილი საკითხებისადმი ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისა და ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელების თაობაზე გაიმართა მსჯელობა.

კომისიამ მოწვეულ სტუმრებთან მუზეუმის გაერთიანების ხელმძღვანელთან და თბილისის მერიის კულტურის ობიექტების მართვის დაგეგმარების უფროსთან ერთად თბილისის მუზეუმების ტურისტული პოტენციალის განვითარების შესახებ იმსჯელეს. შეხვედრაზე ამ მიმართულებით განსახორციელებელი ნაბიჯებიდან ხაზი გაესვა ტურ-ოპერატორებთან კომუნიკაციასა და მათთვის მუზეუმების პოტენციალის სათანადოდ გაცნობის აუცილებლობას.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა

გენდერული თანასწორობის საბჭო, დადგენილებით განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში გახლავართ 2018 წლის თებერვლიდან, საბჭოს მუშაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხები, რაც უკავშირდება ქალთა და ბავშვთა უფლებებს, ქალის როლს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურისა და ზოგადად საზოგადოებაში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობას, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად პრესისა და მასმედიის სხვა საშუალებების, მათ შორის სოციალური ქსელების გამოყენებით დისკუსიების წარმართვასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

გენდერული საბჭოს ეგიდით გაიმართა ღონისძიება „ერთად ვეძებოთ გზები“ რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკურ, კულტურულ და სამეწარმეო საქმიანობაში ქალის როლის გააქტიურებას.

გენდერული საბჭოს საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა, შეხვედრები და აქტუალური საკითხების ირგვლივ აზრთა მონაცვლეობა. საანგარიშო პერიოდში გაიმართა რამდენიმე შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე საუბრის ძირითად თემას წარმოადგენდა გენდერული პოლიტიკა და პლატფორმა, გენდერული თანამშრომლობის საბჭოს მუშაობის სპეციფიკა და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კომპონენტები, გენდერთან დაკავშირებული საბიუჯეტო ასპექტები და თავისებურებები, მოხდა გამოცდილების გაზიარება და შეთანხმება მომავალში თანამშრომლობის გაგრძელებაზე.

საბჭომ ღონისძიების „ქალები ბრძოლის ველზე - განსახვავებული პროფესიები თანასწორობისათვის „ ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა წოდების სამხედრო მოსამსახურე ქალებს, თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანიაში მომუშავე მძღოლ ქალებს უმასპინძლა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ვიმსჯელეთ მოქმედების სამომავლო სტრატეგიაზე და დავგეგმეთ აქტივობები, რათა მოხდეს წლის დასაწყისში შემუშავებული სამოქმედო გეგმის განხორციელება. ასევე შევხვდით წარმატებულ ემიგრანტ ქალებს, შეხვედრა ყოველწლიური კვირეულის ფარგლებში გაიმართა, რომლის ორგანიზატორი ორგანიზაცია „დიასპორის სახლი“ გახლდათ. თბილისის საკრებულოში გამართულ შეხვედრაში აშშ-ში, გერმანიაში,

იტალიასა და ესპანეთში მცხოვრები ემიგრანტები მონაწილეობდნენ, რომლებმაც საკუთარი საქმიანობის შესახებ ისაუბრეს.

აქტივობები, ტრენინგები, სემინარები, მივლინებები:

საანგარიშო პერიოდში 22-24 თებერვალს მივლინებით ვიმყოფებოდი იტალიის დედაქალაქ რომში, სადაც დავესწარი ევროპის კონსერვატორთა და რეფორმატორთა ალიანსის (ACRE) და "დემოკრატთა საერთაშორისო კავშირი"-ს შვილობილი პარტნიორის სახელით, ACRE-ს საბჭოს შეხვედრასა და სამიტზე „La Convenzione Blu". სადაც მოწვეულნი იყვნენ ევროპის ლიდერი პოლიტიკის, ბიზნესის, მთავრობის, აკადემიურ და არა-სამთავრობო სექტორებიდან. პროგრამა ეხებოდა შემდეგ თემებს: ევროზონის ფინანსები; იმიგრაცია და მიგრაცია; რწმენა და თავისუფლება; უსაფრთხოება და თავდაცვა; ციფრული ეკონომიკა; ადგილობრივი მმართველობა. მივიღე მონაწილეობა გამართულ დისკუსიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის თემებზე, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში შექმნილი გენდერული საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებით.

ასევე გენდერული საბჭოს სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე ბორჯომში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDR) მიერ ორგანიზებულ და დაფინანსებულ პროექტში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: გენდერული სტატისტიკა. შეხვედრაზე ასევე მოისმინეს ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველში სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები ; საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის შედეგები; გენდერული სტატისტიკა და მისი განვითარება საქართველოში.

22-24 მარტს ვიმყოფებოდი IRI-ის ორგანიზებით კაჭრეთის ამბასადორში გამართულ ტრენინგზე, კრიზისების მენეჯმენტსა და საჯარო კომუნიკაციაზე.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-151 მუხლის შესაბამისად, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა

წარმომადგენლობის მიზანია მოსახლეობისათვის საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან შესაბამის საარჩევნო ოლქში კომუნიკაციის ხელმისაწვდომი პლატფორმის არსებობა.

წარმომადგენლობის ამოცანებია:

- მაჟორიტარი საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მაჟორიტარი საკრებულოს წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

წარმომადგენლობა შეისწავლის ჩემს სახელზე შემოსულ წერილებსა და განცხადებებში დასმულ პრობლემატურ საკითხებს და ჩემი გადაწყვეტილების მიხედვით რეაგირებას ახდენს მათზე. საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია 150-მდე განცხადება, რომლებიც რეაგირებისთვის გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში. შემოსული წერილების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებულია ან დღევანდელი მდგომარეობით პასუხის მოლოდინის რეჟიმში იმყოფება.

ყოველი კვირის ოთხშაბათს პირადად ვხვდები მოქალაქეებს ვეცნობი მათ საჭიროებებს და კომპეტენციის ფარგლებში ვუწევ შესაბამის დახმარებას. მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამიართა 35 მიღება და 1000-ზე მეტ მოქალაქესთან შედგა შეხვედრა. განხორციელდა 150-მდე სატელეფონო საუბარი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მყისიერად საჭიროებდნენ რეაგირებას.

მოქალაქეები მოგვმართავენ სხვადასხვა პრობლემატური საკითხების მოგვარების თხოვნით, აქედან ძირითადად იკვეთება სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და ინფრასტრუქტურული მოწყობის მიმართულებით არსებული საჭიროებები. გარდა ამისა ჩემი დავალებით პრობლემატურ საკითხებზე მყისიერად რეაგირების მიზნით ადგილზე წარმომადგენლობის თანამშრომლები ხვდებიან მოსახლეობას, ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას, თანამშრომლობენ სხვადასხვა სამსახურებთან რათა დასახლებაში არსებული პრობლემები მაქსიმალურად ოპერატიულად და სწრაფ ვადებში იქნას აღმოფხვრილი.

მოსახლეობის მომართვიანობის საფუძველზე ხდება გამოვლენა იმ პრობლემატური საკითხების რაც აქტუალურია სამაჟორიტარო ოლქში, კერძოდ: მუხიანის დასახლებაში წლების განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა თბილისის შემოერთებული ტერიტორია და მისი კეთილმოწყობის საკითხი:

მუხიანი 2-ის ინფრასტრუქტურული მოწყობა: მუხიანი 2 -ის დასახლება, დედაქალაქს რამდენიმე წლის წინ შემოუერთდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მოწყობის კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა უკვე წლებია ადგილობრივი მოსახლეებისთვის მოუგვარებელ პრობლემად იქცა. ჩემი აქტიური ჩართულობით, ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურებისა და გლდანის გამგეობის თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა მუხიანი 2-ის დასახლებაში წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემების

აღმოსაფხვრელად. ქალაქ თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ დასახლებაში განხორციელდა კომპლექსური ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ დროისთვის უკვე დასრულდა გარდამავლი პროექტი, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა: სამუშაოების ფარგლებში მოეწყო 1.2 კმ. სიგრძის ცენტრალური კოლექტორი. ვარდისუბნის ქუჩაზე, 2.5 კილომეტრზე მოეწყო 500 მმ. გარე ქსელი და 100 ერთეული ჭა. ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 903 172 ლარი იქნა გამოყოფილი. პროექტის ბოლო ეტაპი ვარდისუბნის, საზანოსა და ჟვანიას ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას გულისხმობს, აღნიშნული ქუჩებიდან საზანოსა და ჟვანიას ქუჩების მონაკვეთზე გზის რეაბილიტაცია უკვე დასრულდა. საგზაო ინფრასტრუქტურის სრულად მოწესრიგების შემდეგ დასრულდება პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად საბოლოოდ მოგვარდება ის პრობლემები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას წლების მანძილზე აწუხებდა.

მიმდინარე და დასრულებული პროექტები : ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში აქტიურად ვარ ჩართული, რათა ბიუჯეტში აისახოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და პროექტები რაც მნიშვნელოვანია მუხიანის მაცხოვრებელთათვის. მოსახლეობის მომართვის საფუძველზე, წარმომადგენლობის მიერ ადგილზე მიმდინარეობს მოკვლევა თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტისა და განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმარების მიზნით. მუხიანში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორი დიდი სკვერი განახლდა:

მუხიანის IV ბ მიკრო/რაიონში მდებარე №: 32ა-35ა კორპუსების მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია-აღდგენა განხორციელდა, სამუშაოების შედეგად, 1 600 კვ. მ ფართობზე მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცე, თანამედროვე სტანდარტების კალათბურთის მოედანი, სარწყავი სისტემა, განათება და სკვერისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურა. ასევე აღნიშნული ტერიტორია გამწვანდა, დაირგო სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე. სკვერის აღდგენის სამუშაოებისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 221 813 ლარი გამოიყო.

მუხიანის IV ა მიკრო/რაიონში №: 1-4 კორპუსების მიმდებარედ, დუმბაძის გამზირის დასაწყისში, არსებული სკვერისა და მიმდებარედ ტერიტორიის რეაბილიტაცია განხორციელდა, სამუშაოების შედეგად 3 400 კვ. მ ფართობზე მოეწყო ბავშვთა გასართობის სივრცე, სარწყავი და გარე განათების სისტემები, განთავსდა სკვერებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, მოსასვენებელი პავილიონი. სკვერის მოწყობისთვის გლდანის გამგეობის ბიუჯეტიდან 156 999 ლარი დაიხარჯა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, ***მცირე ზომის სკვერები*** მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- მუხიანი I მ/რ კორპ N8-9 მიმდებარედ;
- მუხიანი II მ/რ კორპ N 11, II-III სად. მიმდებარედ;
- მუხიანი IV ბ მ/რ კორპ N 29-ს მიმდებარედ;
- მუხიანი IV ბ მ/რ კორპ N 39 მიმდებარედ;
- მუხიანი, შენგელიას ქუჩა N 9

- III მ/რ, №: 19 – 22 მიმდებარედ;
- IV ბ მ/რ; №: 42-43-44 მიმდებარედ;
- მუხიანის IV ა მ/რ; №: 11-13-14 მიმდებარედ.

სპორტული მოედანი:

- მუხიანი, IV ბ მ/რ კორპ # 42-43
- მუხიანი, IV ბ მიკრო/რაიონში მდებარე №: 32ა-35ა;
- მუხიანი II მ/რ; კორპ. 4
- მუხიანის III მიკრო/რაიონის პირველი კორპ.

სავარჯიშო ფიტნეს ზონები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- მუხიანი IV ა მ/რ კორპ #17ა;
- მუხიანი IV ბ მ/რ კორპ N38-39;
- მუხიანი I მ/რ კორპ N8-9 მიმდებარედ;

ასევე, ადგილობრივ მაცხოვრებელთა მოთხოვნების შესაბამისად ***მოსასვენებელი პავილიონები*** მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- მუხიანი 4 ბ მ/რ; კორპ. 25; მე-3-ე სადარბაზოს მიმდებარედ;
- მუხიანი 1 მ/რ; კორპ. 10-ის მიმდებარედ

ავალიშვილის ქუჩა: ეს გახლავთ კიდევ ერთი ქუჩა მუხიანის დასახლებაში სადაც მოხერხდა მოსახლეობისათვის წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემის გადაჭრა, კერძოდ მოეწყო წყალრინების გარე ქსელი.

ავჭალა 1 (მუხიანის სამხედრო დასახლება) სრულად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა:

ავჭალა 1-ში გასულ წელს მასშტაბური პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც სრულად მოწესრიგდა ცენტრალურ ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კი შედარებით რელიეფურ და რთულად მისადგომ მონაკვეთებზე მოხდა ბეტონის საფარის მოწყობა კერძოდ, **ბრონშტეინის ქუჩაზე,** დაახლოებით 1 440 კვ.მ ფართობზე, ასევე **შეშელიძის №: 41**-ის მიმდებარედ **(კორინთას ქუჩა)** - პროექტის თანახმად სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდა, პირველ ეტაპზე აღნიშნულ ქუჩაზე მოეწყო წყალრინების ქსელი, რის შემდეგაც დაახლოებით 750 კვ. მ ფართობზე ბეტონის საფარი.

რეზო გაბაშვილის მესამე გასასვლელის №: 7-13-19 -ის მიმდებარედ - არსებულის გრუნტის ნაცვლად დაახლოებით 1 359 კვ. მ ფართობზე კაპიტალური ასფალტი მოეწყო.

ასევე გზის საფარის კაპიტალური რეაბილიტაცია განხორციელდა **ბობოხიძის ქუჩასა** და ამავე ქუჩის I გასასვლელის. აღნიშნულ ტერიტორიაზე ასფალტის საფარი არ არსებობდა და საგზაო მონაკვეთის მოწესრიგებას ადგილობრივი მოსახლეობა წლების მანძილზე ითხოვდა. სამუშაოების ფარგლებში ასფალტის საფარი დაახლოებით 2 687 კვ. მ ფართობზე დაიგო, ასევე მოეწყო ბორდიური.

მუხიანი 2 -ის დასახლება გზები -მუხაინი 2-ის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა ხშირად მოგვმართავენ ამა თუ იმ ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თხოვნით, რადგან აღნიშნულ დასახლებაში გზების გაუმართაობის გამო მოსახლეობისათვის გაძნელებულია ტრანსპორტით გადაადგილება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოიხრეშა გზები სადაც ხშირ შემთხვევაში მანამდე არანაირი საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა:

- გრემის ქუჩა, №:66 დან №:127 მდე გზის მონაკვეთი.
- მუხიანი 2, ტაძრის ქუჩა, გრემის ქუჩიდან დაისის ქუჩამდე გზის მონაკვეთი.
- მუხიანი 2, გრემის ქუჩის ბოლოდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის მონაკვეთი;
- გამარჯვების ქუჩა, საზანოს ქუჩიდან გურიის ქუჩამდე გზის მონაკვეთი. (მოშანდაკება) დატკეპნვა;
- მუხიანი 2, სამეგრელოს ქუჩა, რიკოთის ქუჩიდან იაკობის ქუჩამდე;
- მუხიანი 2, რიკოთის ქუჩა, სამეგრელოს ქუჩიდან რიკოთის Iჩიხამდე;
- მუხიანი 2, ბორჯომის ქუჩის მონაკვეთზე(ტაძრის ქუჩიდან ნაკადულის ქუჩამდე);
- მუხიანი 2 , ნეკრესის ქუჩა.

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის მოთხოვნით სულ ჯამში 52 მოქალაქემ მოგვმართა, აქედან უმრავლესობა დაკმაყოფილდა სრულად, ნაწილი მოთხოვნილი თანხის 70 % -ით. მაჟორიტარის შუამდგომლობით სამართლებრივი დახმარება გაეწია მრავალ სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, კერძოდ სტატუსის შეჩერების პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებების საფუძველზე მოხდა სოციალურად დაუცველი იმ მოქალაქეების პრობლემის გამოკვლევა და მოგვარება, რომლესაც შეუჩერეს სტატუსი ან ხელმეორედ გადამოწმების საფუძველზე მიანიჭეს მაღალი სარეიტინგო ქულა. ასევე ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა და ბინის ქირით უზრუნველყოფაზე, შუამდგომლობის თხოვნით არაერთმა სოციალურად დაუცველმა პირმა მოგვმართა განცხადებით, რომლებიც შემდგომი რეაგირებისთვის და შესაბამისი დახმარების აღმოსაჩენად გადაგზავნილ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემი ინიციატივით ჩატარდა რამდენიმე სამედიცინო აქცია, კერძოდ: მუხიანის მაცხოვრებელთათვის გაიმართა უფასო ოფთალმოლოგიური

გამოკვლევების აქცია, კვლევები „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით ჩატარდა. ოფთალმოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტებს კვალიფიციური კონსულტაცია და თვალის სხვდასხვა დაავდებების (ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი) დიაგნოსტიკა კლინიკის პროფესიონალმა ექიმებმა ჩაუტარეს. პაციენტები, რომელთაც აღმოაჩნდათ გართულებული მდგომარეობა დაბარებულ იქნენ შემდგომი მკურნალობისთვის.

ასევე ჩემი ინიციატივით მუხიანის მაცხოვრებლებს გაეწიათ უფასო სამედიცინო მომსახურეობა, რომლის ფარგლებში მოქალაქეებს ჩაუტარდათ ექიმის კონსულტაციები, მოხდა მათი გასინჯვა, მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა პროფილის გამოკვლევების დაგეგვმა, შემდგომ დიაგნოზის დასმა და მკურნალობის დანიშვნა. კონსულტაციები ადგილობრივ მცხოვრებლებს უშუალოდ მაჟორიტარის წარმომადგენლობაში გაეწიათ და ჩვენს მიერ მოხდა საჭიროების მქონე ბენეფიციარების მოძიება და შემდეგ აღნიშნული აქციის ორგანიზება.

მუხიანის მაცხოვრებელთა სოციალურ პირობებს ადგილზე პირადად ვეცნობი, ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების სფეროა მრავალშვილიანი ოჯახების, სოციალურად დაუცველი, შშმ პირების მხარდაჭერა და მათი თანადგომა, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მზრუნველობა.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი რომ ჩემი ინიციატივით ქ. თბილისის მუნიციპილატიტის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში „ არტ ნოვო სტუდიის“ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი ნივთები, საკოლექციო ფაიფურის თოჯინები, ნახატები, თემატური მაკეტები, ასევე სტუდიის შშმ პირთა ნამუშევრები. „არტ ნოვო სტუდია“ მუხიანის დასახლებაში ფუნქციონირებს და დღეისთვის 40 აღსაზრდელი ყავს. სასაწავლო კურსი მოიცავს ხელოვნების ყველა დარგს არტ თერაპიის ჩათვლთ. სტუდიის მოსწავლეებს შორის შშმ და აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები არიან.

ასევე ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან დედას მივულოცე გაზაფხულის დღესასწაულები, პირადად ვესტუმრე, გავეცანი იმ პრობლემეს რაც ოჯახს აწუხებდა და კომპეტენციის ფარგლებში აღმოვუჩინე შესაბამისი დახმარება. შობა ახალი- წლის დადგომა მივულოცე მუხიანში მცხოვრებ შშმ პირებს, დათო და ნიკოლოზ ჟუჟუნაძეებს და საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადავეცი. ასევე მუხიანში მცხოვრები სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახს გადავეცი საყოფაცხოვრებო ნივთი.

ხანგრძლივ სარგებლობაში არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხი:

მუხიანის დასახლებაში I მ/რაიონში „ა“ და „ბ“ კორპ. მიმდებარედ არსებულ შენობაში უკვე წლებია ცხოვრობენ და ფლობენ საცხოვრებელ ფართებს მოქალაქეები, მათ მიერ განხორციელებულ იქნა მთელი რიგი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები ბინების საცხოვრებელ მდგომარეობამდე მიყვანისათვის. ასევე მითითებულ მისამართზე შეყვანილ იქნა კომუნიკაციები, განხორციელდა მაცხოვრებელთ ინდივიდუალური აბონირება. მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ჩემი აქტიური ჩართულობითა და დედაქალაქის

მერიასთან ერთობლივი მუშაობით წლების განმავლობაში გადაუჭრელი საკითხი უკვე მოგვარებულია და აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხი დადებითად გადაწყდა აქ მცხოვრები ოჯახებისათვის. ასევე მუხიანში IV ბ მ/რაიონში კორპ. 32ა ყოფილი სახლმართველობის შენობაში სოციალურად დაუცველი და იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წლიდან ცხოვრობენ და ითხოვენ ფაქტიურ მფლობელობაში არსებული ფართების საკუთრებაში დაკანონებას. მოქალქეების მომართვის საფუძველზე აღნიშნულ ოჯახებს გაეწიათ შუამდგომლობა შესაბამის უწყებებთან ვინაიდან არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა, წარმოადგენს უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის საფუძველს.

მუნიციპალური ტრანსპორტი - მუხიანში მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის კუთხით საანგარშო პერიოდში სასიხარულო ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ: N95 მარშრუტის მგზავრებს MAN-ის მარკის ახალი 10 მეტრიანი ავტობუსები ემსახურებიან, მუხიანის დასახლებიდან ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით მოძრავ № 95 მარშრუტზე 8 ავტობუსი გადანაწილდა. ამ მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე დგას საჭიროება დასახლებაში მოძრავ მუნიციპალურ ტრანსპორტს დაემატოს ახალი გრძელ დისტანციაზე გათვლილი სამარშრუტო ხაზი, აღნიშნულ საკითხზე ავტობუსების პარკის განახლების პროცესის გათვალისწინებთ მიმდინარეობს მუშაობა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები პროექტები - გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების ახალი წესის მიხედვით, პროექტის განხორციელება მუხიანის დასახლებაში აქტიურად მიმდინარეობს. კერძოდ,ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა მუხიანის მე-2 მ/რ-ის N8 კორპუსში სრულიად გამოიცვალა წყალრინების შიდა და გარე ქსელი, 94 000 ლარის ღირებულების სამუშაოები 600 გრძივ მეტრზე განხორციელდა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მუხიანის IV ა მ/რაიონის მე-2-ე კორპუსში ლიფტის რეაბილიტაცია განხორციელდა, ასევე ამოივსო კორპუსში არსებული სართულშუა ნაპრალები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების ახალი წესის თანახმად, გამგეობამ სამუშაოები 100%-ით დააფინანსა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები - მუხიანში ამ დროისთვის ოთხი საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, თუმცა უკვე წლებია დასახლების ხუთივე მიკრო რაიონის მოსახლეობის მოთხოვნას წარმოადგენს დამატებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, რადგან მაღალი მოთხოვნისა და მომართვიანობის გამო საბავშვო ბაგა ბაღებში მუდმივად ფიქსირდება ადგილების დეფიციტი. აღნიშნულიდან გამომდინარე ახლო მომავალში მუხიანის დასახლებას კიდევ ერთი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება დაემატება, ახალი შენობის პროექტი ა (ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს ხელმძღვანელობასთან ერთად ჯერ კიდევ საანგარიშო წლის დასაწყისში წარვუდგინეთ ადგილობრივ მოსახლეობას, მშენებლობა ამ ეტაპზე მიმდინარეობს შემდეგ მისამართზე:

- მუხიანის პირველი მ/რაიონი № 184 ბაგა-ბაღის მიმდებარედ (ს/კ 01.11.17.004.314)

საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ჩატარდა სხვადასხვა სოციალურ, საქველმოქმედო, შემოქმედებითი ღონისძიებები. აღდგომის დღესასწაული პირადად მივულოცე მუხიანში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს და საჩუქრები გადავეცი მათ. ასევე დავესწარი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გამართულ ღონისძიებებს და აღსაზრდელებთან ერთად ავღნიშნე ბავშვთა საერთაშორისო დღე. წიგნის საერთაშორისო დღე მივულოცე ოლქში მდებარე საჯარო სკოლის მოსწავლეებს და ამ დღის აღსანიშნავად წიგნები გადავეცი საჩუქრად. ქ. თბილისის 175- ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ავღნიშნე დედამიწის საერთაშორისო დღე და ამ თარიღთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიება-აქტივობაში თავადაც მივიღე მონაწილეობა. ასევე ჩემი ინიციატივით მუხიანში მდებარე 174-ე საჯარო სკოლისა და ნიჭიერთა სკოლა-აკადემიის მოსწავლეები პროექტის „თბილისის მუზეუმის კვირეული“ ფარგლებში თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ მუზეუმში იმყოფებოდნენ.

აქვე მინდა შევეხო წინასაარჩევნო დაპირებას რომელიც მნიშვნელოვანია მუხიანის თითოეული მაცხოვრებლისათვის, ეს გახლავთ მუხიანში ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური, დასასვენებელი კომპლექსის პროექტი. „რადიოქალაქის“პროექტის განხორციელების მიზნით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა აუქციონი, რომელშიც გამარჯვებულმა კომპანიამ უკვე შეიმუშავა პროექტის კონცეფცია, რომლის თანახმადაც ტერიტორიაზე მოეწყობა კვების ობიექტები, სავაჭრო სივრცეები, ღამის კლუბი, საკონცერტო და საგამოფენო სივრცე, ფიტნეს და სხვა ტიპის სპორტული სივრცეები, საცურაო აუზი, სარეკრეაციო სივრცე, გასართობი ცენტრი, მედიათეკა, მინი საბავშვო ქალაქი, მეცნიერებათა მუზეუმი, კულინარიის სივრცე, სამუშაო-საწარმოო და ა.შ.